

K 151478
3



ტიბალა მუკატიტი

კვილი კლიტის კვიკიშული
წიგნიკი ქარტილი
პრისიტი

||


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ციალა ქუტციკიძე

ძველი აღთქმის აპოკრიფული
(არსაკანონიკური) წიგნების
ქართული ვერსიები

წიგნი II

K 151478
3



8Г2
899.962.1.09
ქ. 923



1970 წელს X—XVIII საუკუნეების ყველა არსებული ქართული ხელნაწერის მიხედვით ავტორმა გამოაქვეყნა ძველი აღთქმის ექვსი აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნი: „წიგნი ეზრა ზორობაბელისი“ (I ეზრა), „ტობისი“, „სიბრძნე სოლომონისი“, „ბარუქი“. „ეპისტოლე იერემიასისი“, „წიგნი ეზრა სუთიელი“ (III ეზრა). წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გამოკვლევას, რომელიც მიზნად ისახავს ძველი აღთქმის ამ ექვსი არაკანონიკური წიგნის ქართული ვერსიების ურთიერთთან და უცხოენოვან წყაროებთან (ბერძნული, სომხური, სირიული, ლათინური, სლავური) შედარების შედეგად გაარკვიოს ქართული თარგმანების მომდინარეობისა და სხვადასხვა რედაქციების წარმოქმნის საკითხები.

რედაქტორი ე. მეტრეველი

გადაეცა წარმოებას 2/IV-73; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.I.73; ქალაქის ზომა 60 X 90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 21.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,90; უე 00963; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1042.

ფასი 1 მან. 05 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.
Типография АН ГССР. Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.



ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები თავისი სიძველითა და შინაარსით ძველი აღთქმისავე კანონიკურ წიგნებს უპასუხებენ და ავსებენ იმ ხარვეზს, რომელიც ძველი აღთქმის ამბების გადმოცემაში კანონიკურ წიგნებს აქვთ. ამიტომ არაკანონიკური წიგნებიც იმავე გონივრულად, რომელიც ძველი აღთქმის კანონი და ბიბლია საერთოდ.

ბიბლიის, კრძალვების ძველი აღთქმის, ჭეშვითის კვლევისა და დადგენის შედეგად იგი მნიშვნელოვან ენიჭება მისი თარგმანებს ქრისტიანული მწერლობის მეშვეობით ყველა ენაზე. ამ მნიშვნელობას მოკლებული არ არის ქართული თარგმანებიც, რომელიც თავისი სიძველით სხვა თარგმანებს არა თუ არ ჩამოუვარდება, არამედ ამიტომ უფრო: ხანმოკლე პერიოდებში შესაქმის, I ებრას, იგავნი სლომიონისის, იერემიასა და ესაიას წინასწარმეტყველებათა თარგმანების არსებობა ძველი აღთქმის თარგმანს /თუ მთლიანად არა, მისი დიდი ნაწილისას/ ქართულ ენაზე ქრისტიანული მწერლობის უძველეს პერიოდში /V-VI საუკუნეებისათვის/ გვაპარაუბრებებს. მაგრამ იმის გამო, რომ ძველი აღთქმის ქართული თარგმანი მეცნიერულად შესწავლილი არ ყოფილა, ბიბლიოლოგთათვის იგი მთქმის უცნობი იყო.

ყველაზე წიგნების გამოცემები, რაც დღემდე არსებობს, სრულწარმოდგენას ძველი აღთქმის ქართულ თარგმანზე, ცხადია, არ იძლევა.

ძველი აღთქმის წიგნების ქართული რედაქციების შესწავლასა და გამოსაცემად მომზადებაზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს დღეს კ. კვცივიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ასე რომ ძველი



აღმქმნის ქარბული ღარკმანის სრული მუცნიერული ჭევესის გამოკე-

მა უკვე ახლო მომავლის საღერე მოჩანს.

ანი, ის მუერე რამ, რაც ჭაკუტა იღეიმე ძველი აღმქმნის
წიგნებთან ქარბული ღარკმანების ჭამოკემასთან დაკავშირებთ:

1885 წელს ალ. ცაგარელი მშვის შიბლიის შიხევეთ გამოს-
ცა ქება ქებაა.¹

1926-1929 წლებში რ. ბლევიშა გამოაქვეყნა ებრა სუთილის
წიგნი ივრუსალიმისა და მშვის შიბლიათა შიხევეთ.²

1947 წელს აკაკი შანიძემ წამოიწყო მშვის შიბლიის გამოკე-
და, მან გამოაქვეყნა შიხევი წიგნი - დაბაქება, გამოსცათა, ე-
ვიჟელათა, მსახურათა, რუთი, იოთი, ესათა - მრ ნაკვეთარ.³

1960 წელს მწველა შანიძემ გამოსცა ფსალმუნის კრიტიკული
ჭევესი 9 ბელნანერის შიხევეთ, რმშლეობიე სამ რედაქციას ქმნი-
ან.⁴

1 А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской пись-
менности, I, вып. I, СПб., 1886.

2 The Georgian Version of Fourth Exodus from the
Jerusalem Manuscript R.P. Blake, The Harvard The-
ological Review vol. xix No 4, 1926, The Georgian
Text of Fourth Exodus from the Athos Ms., R.P. Blake,
The Harvard Theological Review, vol. xxii, No 1, 1929.

3 წიგნი ძველისა აფქმნისანი, ტ.1, ნაკვ. 1, გამოსცა აკაკი-
ვიშანიძემ, თბ., 1947 წ.; წიგნი ძველისა აღმქმნი-
სანი, ტ.1, ნაკვ.2, გამოსცა აკაკი ვიშანიძემ, თბ.,
1948 წ.

4 ფსალმუნის ძველი ქარბული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ბელნა-

1961 წელს რ. ბღეიკმა და მ. ბრეიერმა გამოაქვეყნეს წინასწარმეფუძვალა წიგნები ოსკისა და იერუსალიმის ბიბლიის ხელნაწერების მიხედვით.¹

ძველი აღმშობის წიგნების ქართული ვერსიების ერთი ნაწილი - ექვსი არაკანონიკური წიგნი - 1970 წელს გამოქვეყნდა ჩვენს მიერ. გამოცემაში შევიდა: "წიგნი ებრა ბორბობაბელისი", "გობონი", "სიბრძნის სოლომონისი", "ბარუქისი", "უბისტოლე" და "წიგნი ებრა სუთიელი" III ებრა.² ფაქტები გამოსაყვეთა მომზადდა X-XVIII საუკუნეების ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით, ფაქტის ისტორიის დადგენა სწორედ მისი ამჟამინდელი გამოცემაში შესაძლებელი.

ჩვენი მთავარი მიზანი ძველი ქართული ენისა და დიფერენცირის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლების გამომდგრდება და მათი სპეციფიკის შესახებ მინიჭება იყო. ამასთანავე მათი შესწავლით, რედაქციების ერთმანეთთან და უცხო წყაროებთან შედარებით გვსურს ქართულ მარცხანებში შესაფერისი ადგილი მივუჩინოთ სხვა ენებზე დაკლები მარცხანების გვერდით.

წიგნების მიხედვით, გამოსცა მ მ ე ე ა რ ა მ ა ნ ი ძ ე მ,
1. ფაქტი, თბ., 1960 წ.

¹ The Old Georgian Version of the prophets, critical edition with a Latin translation by R. P. Blake and Canon Maurice Briere, Patrologia Orientalis, t. xxix, p. 8, Paris, 1962.

² ძველი აღმშობის ამოკრიკების ქართული ვერსიები X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით. ფაქტები გამოსაყვეთა მომზადდა, წინასწარმეფუძვალა და დეტალიზირი დაურთო მ. ქ უ რ მ ი ე ი ძ ე მ, წიგნი 1, თბ., 1970.

ძველი აღთქმის წიგნების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიაში
სამი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: 1. უძველესი, ანუ X საუკუნეში-
ბიბლიის ყველაზე ძველი ხელნაწერში - თბილის ბიბლიაში; 2. XII სა-
უკუნეში ბერძნული სუბტილური მიხედვით ნათარგმნი და ნასწორები
გაქსტები დაკლდა გელათის ბიბლიაში; 3. XVIII საუკუნის დამდეგს
სლავურადან თარგმნა ძველი აღთქმის ბევრი წიგნი, რომლებიც შე-
დგებ ქართული ბიბლიის მოსკოვურ გამოცემაში /1743 წ./ შვეიცარა.

უძველესი ანუ X საუკუნეშიდგომი თარგმანების მოძიებნარეობა და-
უძველესია. სამეცნიერო ღიჯრატურაში მათი წყარო-ენის შესახებ
სხვადასხვა მისამართებში არსებობს.

ჩვენს მიერ გამოცემული არაკანონიკური წიგნების თბილის ბი-
ბლიისგული გაქსტები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენიდან აღ-
მოჩნდა თარგმნილი: ებრა ბორბობაბელის წიგნი გადმოღებულია სომ-
ხურადან /ამავე წიგნის უფრო ძველი თარგმანი, რომელიც ხანმოკ-
ვადიმიტოვსკისა დაკლდა, ბერძნული ტრადიციისაა/, ტობისა და სლო-
მონის სიბრძნის წიგნები - ბერძნულიდან, ებრა სუთიერის წიგნი
ერთ-ერთი სემიტური ენიდან მოძიებნარეობს, იერემიას ეპისტოლის
თარგმანს სირიულიდან შესრულებულად ვვარაუდობთ. ეს ფაქტი ვი
იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული ბიბლიის უძველესი რედაქცია
დროის ერთ რომელიმე მონაკვეთში, ერთი რომელიმე ენიდან მოძი-
ებარე არ უნდა ვივარაუდოთ, როგორც ჩანს, მის ცალკეულ წიგნებს
სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენებიდან თარგმნიდნენ.

ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების ქართული თარგმანე-
ბის გამოქვეყნებაში და შესწავლაში ქართული ბიბლია მსოფლიო ღიჯრატ-
ურის შედეგის - ბიბლიის - გაქსტის ისტორიის მკვლევართა პირი-

ცენტრის მიზანმიმართულ საინფორმაციო კამპანიას. ასე მაგ.: ომის წიგნების
ძველი ქართული რედაქცია ბერძნული ე.წ. C რედაქციის ლაგოვან
აღმოჩენა. C რედაქცია კი ბოლომდე უფრო ძველ ნაკრებებს შეი-
ცავს, უფრო ამ წიგნის რედაქციის ორი - A და B - რედაქცია .
მაგრამ რაც ქართული ლაგოვანის განსაკუთრებული მნიშვნელობას ანი-
ჭებს, ისაა, რომ ომის წიგნის C რედაქცია სრული სახით მხოლოდ
და მხოლოდ ქართულ ენაზე აღმოჩენა დასაშვან; ქართულ ვადა ომი
ბერძნულსა და სირიულზე არსებობს, ოღონდ ორივეგან ნაკლები სა-
ხით. ამ ნაწარმოების მთავარ გმირს ქართული ძველი რედაქციის
მიხედვით ომი ჰქვია /მედი - ომი/; სხვა ენებზე ეს ასე არ
არის; სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ომი რქმევი
ამ გმირს დაკარგულ არამედი ედგან, მათთანავე, არამედი
ედგის ნაკლებად ედგს არსებული ლაგოვანებთან ქართულს აღმო-
აჩნდა. ებრას ანკვირების ძველ ქართულ ლაგოვანშია შემოჩენი-
ლი ებრას ბენედიქტო "სუთილი", რომელიც ქართული ლაგოვანი და-
კარგული კომპლექსი ედგის ნაკლებად უდას ვედი.

ომი ედა, რომ ძველი აღმოსავლეთი არაკანონიკური წიგნების
ეს ვამედი და ამ წიგნების შესავალი მიხედვით დასკვნები ვარ-
კველ სამსახურს ვაუქვენ ომით ძველი ქართული ენისა და ლიტ-
ერატურის, ისე ბიბლიის საკლებით რეინფორესებულ მკვლევარს.

მ ე ს ა ვ ა რ ი

ბიბლიის ძველ აღთქმაში გამოყოფენ კანონიკურ და არაკანონიკურ, მეორენაირად კანონიკურ და აპოკრიფულ წიგნებს.

ძველი აღთქმის კანონიკური წიგნებია: 1. დაბადება, 2. გამოსვლა, 3. ღვივტილა, 4. რიცხვა, 5. II მჯუღთა, 6. ისუ ნავესი, 7. მსაჯულთა რუთითურთ, 8. I და II მეფეთა, 9. III და IV მეფეთა, 10. I და II ნეშტთა, 11. ეზრა და ნეემია, 12. ესთერი, 13. იობი, 14. ფსალმუნნი, 15. იგავნი სოლომონისნი, 16. ეკლეზიასტე, 17. ქება ქებათა, 18. ესაია, 19. იერემია გოგობით, 20. ეზეკიელი, 21. დანიელი, 22. თორმეტი მცირე წინასწარმეტყველი.¹

1 ძველი აღთქმის კანონიკური წიგნი სინამდვილეში ოცდამეორე კი არა ოცდათვრამეტეა, მაგრამ ძველმა ებრაელებმა იმ მიზნით, რათა ამ წიგნების რაოდენობა მათ ანბანში შემაჯავარი ასოების რაოდენობასთან გაეთანაბრებინათ, ხელეწიურად გააერთიანეს ზოგიერთი წიგნი ურთ წიგნად: მსაჯულთა და რუთი, I და II მეფეთა, III და IV მეფეთა, I და II ნეშტთა, ეზრა და ნეემია და 12 მცირე წინასწარმეტყველის საბელით ცნობილი /ოსია, იოელი, ამოსი, აბდია, იონა, მიქა, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონია, ანგია, ზაქარია, მალაქია/ წიგნები.

ძველი აღთქმის წიგნების ებრაული ანბანის მიხედვით ოცდამეორედ გაერთიანების შესახებ ცნობები ძველი მწერლობის ძეგლებშიცაა დაცული:

"ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმეც ოცდამეორე არიან წიგნნი ძუელისა აღთქმისანი, რიცხვსაებრ ებრაელთა ანბანისა ასოთაჲსა,

ეს.ის წიგნებია, რომლებსაც ებრაელი ხალხი ქმნიდა ღმერთის
მხელი ათი საუკუნის მანძილზე, კერძოდ, ძველი წელთაღრიცხვის
XIII-XII საუკუნეებიდან ძველივე წელთაღრიცხვის II საუკუნემდე.¹
ამ წიგნებში ასახულია ებრაელი ხალხის ისტორია, იმპროვიზირებული
ფიქტიციუზობა, მათი მსოფლმხედველობა, რელიგიური მრწამსი, მათი
ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებები.

ძველი აღქმის არაკანონიკურ წიგნებში იხვლება: 1. I ებრა
/წიგნი ებრა ზმრთობადების/, 2. ტობი, 3. ივიითი, 4. სოლომონის
სიბრძნე, 5. ისუ-გირაქის სიბრძნე, 6. ბარუქი, 7. იერემიას ეპის-
ტოლე, 8. III ებრა /ებრას ამოკალიფისის/, 9. I მაკაბელთა, 10. II
მაკაბელთა, 11. III მაკაბელთა.

რამეთუ ანბანიცა მათი ოცდამეორი ასოა არს" /იოანე დამასკველი,
გარდამოცემა, 3. კვეცილობის საბ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელ-
ნაწერი A-24, 125 ო/.

"არინა უკვე ძველისა ვიძრებე აღქმისა წიგნი ფიქციური
რიცხვით ოცდამეორე, რამეთუ ესთეტიკურ არინა, ვითარცა მესმა, ასო-
ნიცა ებრაელისა ანბანისანი" /გიორგი სკულის კანონი, 3. კვეცილობის
საბ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A-76, გვ. 197.

ბერ. აგრეთვე: А.П. Л о п у х и н, Толковая Библия или
комментарий на все книги святого писания Ветхого и Нового
завета, под редакцией А.П. Л о п у х и н а, I том, Петер-
бург, 1904, გვ. VI.

I И.Д. А м у с и н, Тексты Кумрана, выпуск I. Перевод с древне-
еврейского и арамейского, введение и комментарий И.Д.
А м у с и н а, Москва, 1971, გვ. 40.



ბევრ აღმქმამში არაკანონიკურად მიიჩნევა აგრეთვე კანონიკური წიგნების გარკვეული ნაწილები:

1. ნეშტას 11 წიგნი - მანასეს ღოცვა /ერთვის ბოლოში, XXXVI თავის 23-ე მუხლის შემდეგ/.
2. ესთერის წიგნი - აგრილები, რომლებიც ბერძნულ სუბტანტაში რამუხბლავია /I, III, IV, V, VIII, X; ლათინურ ვულგატაში ეს აგრილები ესთერის წიგნის XI-XVI თავებარა განაწილებული/.
3. ფსალმუნთა წიგნი - ბოლო, 151-ე ფსალმუნი.
4. იოზის წიგნი - XLII თავის ბოლო მე-17 მუხლი.
5. რანიელის წიგნი - სამი ყრმის გარდა /III თავის 24 - 90 მუხლები/, სუსანას თავგაპასვარი /XIII თავი/ და ბერისა და ვეშა-პის შესახებ /XIV თავი/.¹

1 იორ. Г.П. Смирнов - Платонов, Неканонические книги Ветхого завета: Православное обозрение, том 9, Москва, 1862, გვ. 2; А.П. Лопухин, Толковая Библия, или комментарий... გვ. XIII; П. Юнгеров, частное историко-критическое введение в священные ветхозаветные книги, выпуск первый, книги законоположительные, исторические и учительные, Казань, 1907, გვ. 165; *The Apocrypha and Pseudepigrapha of the Old Testament in English with Introductions and Critical and Explanatory Notes to the Several Books, ed. in Conjunction with many Scholars by R.H. Charles, D. Litt., D.D., Volume I, Apocrypha, Oxford, 1965, გვ. VII; O. Eissfeldt, Einleitung in das Alte Testament, Tübingen, 1964, გვ. 776.*

არაკანონიკური წიგნების წარმოშობისა და გავრცელების ის-
ტორია მთლად ნათელი არ არის: "ჩვენ ისიც არ ვიცით, - წერს
ერმ-ერთი ბიბლიოლოგი - რა წიგნების მიხედვით ასხვავებდნენ
ძველ აღმქმამი კანონიკურ წიგნებს არაკანონიკურთაგან".¹

არაკანონიკური წიგნები ებრაული ბიბლიის მედგენილობაში
არ ჩანდა, გარდა ამისა, ებრაული ენაზე მათი არსებობის შესახებ
არაკითხარ ცნობას არ იძლეოდა იოსებ ფლავიოსი;² მეორე მხრივ,
არაკანონიკური წიგნებისა და კანონიკური წიგნების დემოხსენე-
ბული არაკანონიკური რანარტების არსებობა ბერძნულ სუფიანტაში
ფაქტი იყო, ამავც რრს არაკანონიკური წიგნების უმეტესობის
მიმარტ /1 ებრა, ბარუქი, იერემიას ეპისტოლე, ბირაქის სიბრძნე,
151-ე ფსალმუნნი/ მკვლევერები უკვეცვლ დასკვნებს აკეთებდნენ მა-
თი ებრაული წარმოშობის შესახებ.³

1 Ф. В и г у р у, Руководство к чтению и изучению Библии,
перевод с последнего /12-го/ французского издания с до-
полнительными примечаниями и указателями русской библей-
ской литературы, СПб, В.В.Воронцова, Москва, 1916, გვ. 46.

2 იოსებ ფლავიოსი /სახ. ბეღაღრიცხვიმ/ მოღვაწეა.
იგი პირველი ავტორია, რამელსაც მოცემული აქვს სრული სია ძვე-
ლი აღმქმის წიგნებისა ებრაული ენაზე. ამ სიაში მხოლოდ კანონი-
კური წიგნებია დასახელებული. იერ. ფ. В и г у р у, დასახ.
ნაშრომი, გვ. 49-50.

3 ეს დასკვნები ბოტირთი ფაქტის მიმარტ გაამარტდა პირველ კუბ-
რანის ცნობილმა აღმოჩენებმა. კუბრანში ძველი აღმქმის არაკა-
ნონიკურ წიგნთაგან ნამოვინა ტობის წიგნის არამქული და ებრა-
ული ფრაგმენტები, იერემიას ეპისტოლის ბერძნული თარგმანის

ბიბლიოლოგიაში დღეისათვის დამკვიდრებულია დავისადრისი, რომ ბიბლიის არაკანონიკური წიგნები და დანართები წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბოლო ოთხი საუკუნის განმავლობაში, როგორც ებრაული ბიბლიის /ძველი აღთქმის/ კანონი უკვე დასრულებული იყო. ამიტომ ჩაითვალა ეს წიგნები არაკანონიკურად და არ შევიდა ებრაული ბიბლიის შეგვნიღობაში.¹

კანონიკურ წიგნთაგან არაკანონიკურების გამოყოფას მხოლოდ ამ უკანასკნელთა გვიანდელი წარმოშობა არ უნდა განსაზღვრავდეს: "ის ფაქტი, რომ არაკანონიკური წიგნები ცალკე, დამოუკიდებლად შეიქმნა, იმას მოწმობს, რომ ისტორიულად მათ მინიშნულებაც დამოუკიდებელი უნდა ჰქონოდათ".²

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აფასებდნენ არაკანონიკურ წიგნებს იმ დროს, როგორც ისინი იქმნებოდა, საინტერესოა ერთი ადგილი ებრას აპოკალიფსისიდან. წიგნის ბოლოს /მოკლე რედაქციით XII, ხოლო ვრცელით XIV თავში/ მოთხრობილია შემდეგი: ებრას გამოუცხადა უფალი და უბრძანა წასულიყო ჯვარს და თან წაეყვანა ხუთი კაცი ორმოცი დღით. ებრა ასეც მოიქცა. მუორე დღეს

ფრატმენტი, ბირაქის სიბრძნის სიწმილი ტაძსტის რამდენიმე ნაწყვეტი და ფსალმუნთა წიგნის 151-ე ფსალმუნი ებრაულად. შპრ.

И. Д. А м у с и н, Тексты Кумрана... გვ. 128-130.

- 1 Г. П. С м и р н о в - П л а т о н о в, Неканонические книги Ветхого завета... გვ. 2; А. И. С п е р а н с к и й, Краткий исторический очерк судьбы неканонических книг Ветхого завета: Христианское чтение, 1881, ч. 2-я, გვ. 392.
- 2 Г. П. С м и р н о в - П л а т о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.



უფაღმა "უწილთა" ებრას და უთხრა, რომ გაეღო პირი და შეესვა სასამელო მიერი. ებრამ შეესვა სასამელო, რომელიც წყალს ატავდა, ხოლო ღარი ცუცხლისა აქონდა. ამ სასამელოს მიღების შემდეგ ებრას გულიდან "გამოსკენებოდა მეცნიერებაა", მის მკერდს "განუფენებოდა სიბრძნის" და ებრამ დაიწყო თხრობა: "აღუღო პირი ჩემი და აწიარა დაიწყო". ხუთი კაცი წერდა მის მიწათხრობს ორმოცი დღის განმავლობაში:

"და დავწერე ორმოცსა მას დღესა წიგნები ესე ოთხმოცდაათოთხმეტნი.

"და იყო დღეს აღუწერეს ორმოცნი იგი დღენი, მეფეობა მე მალალი და მრქუა:

"ოცდაოთხი, რომელი პირველად დასწერეთ, განცხადებულად დასრულად და უკითხეთ იგი ღირსთა,

"ხოლო სამოცდაათი დაჰმარხოთ, რადთა მისცე იგი ბრძენთა ერისა შენისათა,

"რამეთუ მას შინა არს ცუცხლი გონებისა და წყაროდ სიბრძნისა და მიღწარს მეცნიერებისა", XI 44-48.

"მაღალი" ანუ უფლის ბრძანების თანახმად პირველი ოცდაოთხი წიგნი "განცხადებულად" უნდა დაიკვას და უნდა წაუკითხონ ყველას, ვინც ღირსი იქნება, დანარჩენი სამოცდაათი კი უარულად უნდა იქონიონ /"დაჰმარხოთ"/ და მისკენ მიხლოდ ბრძენ ადამიანებს.

აქ დასახელებულ 24 წიგნიში ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნებს ხედავენ, ხოლო 70 წიგნიში - ძველი აღთქმისავე არაკანონიკურ წიგნებს.¹ ზუ ეს ასეა, გამოდის, რომ ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები

¹ იქრ. *The Apocrypha and Pseudepigrapha of the Old Testament*... გვ. viii. 5-11



ნიმუში წიგნებს თავის დროზე კანონიკურად შედარებით ნაკლებ
 ბი ბიბლიკურად არ აღიარებენ: "რამდენადაც მას შინა არს ცუდი გონ-
 ბისა და წყარო სიბრძნისა და მტრისა მტრისადაც". ლეონტი,
 მესაბურთა, აქ ავტორი საკუთარ თავსა აღიარებსაც კვანძებიც /ის ხომ
 ღვთისმეტყველებს არაკანონიკურ წიგნს/.

რაც შეეხება საკითხს, სად და როგორ შევიდა არაკანონიკური
 წიგნები ბიბლიის შემადგენლობაში, ღვთიან, რომ ეს წიგნები თავ-
 დაპირველად სუბვანგის მთარგმნელებმა თარგმნეს კანონიკურ წიგნებ-
 თან უნდა და შემდგომად ბერძნულ ბიბლიაში, შემდეგ კი მათ დაემა-
 ტა სხვა არაკანონიკური წიგნები, რომლებიც უფრო მოგვიანებით უკ-
 ვად ბერძნულად დაიწერა.¹

როგორც ვნობილია, ძველი აღთქმის ქრისტიანულ კანონს სა-
 ფუძვლად დაეკო ბიბლიის სუბვანგისეული თარგმანი. ქრისტიანულმა
 ეკლესიამ ეს თარგმანი მიიღო სრული შეფასებით /კანონიკურად
 და არაკანონიკურად/, ამავად შეფასებით თარგმნი იგი შემდეგ
 სხვა ენებზე და შევიდა ყველა ძველი ეკლესიის საღმრთო მსახურთ
 პრაქტიკაში.²

ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულება არაკანონიკური წიგ-
 ნების მიმართ სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. ამ დამო-
 კიდებულებაში რეფორმაციის პერიოდში /XVI საუკუნე/ განარჩე-
 ვენ სამ მიმდებარე:

1. ადრინდელი საუკუნეების /IV საუკუნეში/ ეკლესიის წმი-
 და მამები ძველი აღთქმის არაკანონიკურ წიგნებს იხსენიებდნენ

¹ Г.П. Смирнов - Платонов, Неканонические кни-
 ги Ветхого завета... 33.11.
² იქვე.

როგორც "წერილს" ან "საღმრთო წერილს", აკეთებდნენ მათგან ალტერატივებს და კანონიკური წიგნებისაგან თითქმის არ გამოიხნავენ.¹

2. IV საუკუნის ბოლოსა და V -ის დამდეგს ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები საბოლოო გამოცემა ებრაული "კანონის" ნაწილია წიგნებისაგან - ილარიონის, რუფინუსისა და იერონიმეს უკუგადასწავლილი თხზულებების შედეგად. ეს ნაწილი მამები დაკავშირებული იყვნენ პაპისტიკისაგან და კარგად იცნობდნენ ძველ ებრაულ "კანონს" /ცნობილია, რომ იერონიმემ ძველი აღთქმა ლათინურ ენაზე უმჯობესად ებრაულიდან თარგმნა/. ყველა წიგნი, რომელიც ძველ ებრაულ კანონში არ შედიოდა, მათ აპოკრიფად გამოაცხადეს.

3. მესამე ღვაწლსაგან, რომელიც იმავე IV საუკუნის ბოლოსვე შედგენილია ქრისტიანულ ეკლესიაში, პირველი ორის მიზნებია წარმოადგინოს. ამ ღვაწლსაგანის მიხედვით არაკანონიკური წიგნების გამოყენება სარწმუნოების დოგმატიკის დასაბუთებისათვის უნაძრავია, მაგრამ მიზანშეწონილია იქნა მიჩნეული მათი კომპლექსი მსახურების დროს ეკლესიაში. აქედან წარმოიქმნა ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების სახელწოდება - საეკლესიო. ამ ღვაწლსაგანის მიხედვით ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები გამოიხნეს საკუთრივ აპოკრიფებისგანაც, რომლებშიც მხოლოდ ერთგული ნაწარმოებები იკვლიეს მხოლოდ.²

1 იქვე, გვ. 16; А.И. Сперанский, Краткий исторический очерк судьбы неканонических книг Ветхого завета... გვ. 396; R. H. Charles, The Apocrypha and Pseudepigrapha... გვ. 18.

2 ანთიქრისტიანი მითების შესახებ იხ. The Apocrypha and Pseudepigrapha... გვ. 18



კანონიკური, არაკანონიკური და აპოკრიფული /=ერეტიკული/
 წიგნების მიმართ ბოლო /მესამე/ ზვალსაზრისის მომხრეთა დამო-
 აიდებულებიან საზვენებლად აღსანიშნავია ერთი ადგილი საეკლესიო
 კანონთა კრებულებიან, ე.წ. დიდი სჯულისკანონიპან. ათანასეს
 ეპისკოპოსი ამომხნის მიმართ დახასიათებულია ძველი მწერლობის
 სამივე ეს დარგი. ეპისკოპოსის ქართული ლაზრეანის მიხედვით კანონ-
 ნიკურ, არაკანონიკურ და აპოკრიფული წიგნებშ მესაბამისად ჰქვი-
 ათ: განკანონებულნი, არაგანკანონებულნი // განუკანონებულნი და
 დაუარულნი.

ეპისკოპოსი ჯერ ჩამოთვლილია ძველი და ახალი აღთქმის
 განკანონებული /კანონიკური/ წიგნებში, შემდეგ კი მოკლებულია
 მათი დახასიათება: "არიან /ეს წიგნებში - ც.ქ./ წყარონი ცხო-
 რებისანი, ვიდრემდის მაგრილობელ აქმნიდნიან წყურთელთა ამათში-
 ნანი სიფყუანნი. მხოლოდ ამათ ოდენ შინა დამარების კეთილად მსა-
 ხურებინსა მოძურგებან. ნუმცა რაჲ ვისგან შეემატების ამათ, ნუ-
 ცა კუალად გამო-რადმი-დკუებინს ამათ".

შემდეგ მსჯელობა გრძელდება არაგანკანონებულნი /არაკანონი-
 კური/ და დაუარული /აპოკრიფული/ წიგნების შესახებ: "არამდე
 უმეფესისა უცხოებლობისათვის საჭიროდ ვსაჯე ამისიყა შეძინებან,
 ვითარმდე არიან სხუანიყა წიგნნი ჰვნიერ ამათსა არაგანკანონე-
 ბულნი უკუე, ხოლო დაწერილივე მამათა მიერ საკითხავად მათჰს,
 რომელი აწჳა მოუკრებოინ და ენებოს დამოწაფებან კეთილად მსა-
 ხურებისა სიფყვსად: სიბრძნე სოლომონისი და სიბრძნე ბირაქისი
 და ესთერი და იუდიტი და გოვისი... არამდე, საფუარელნი, არცა
 ამათ ვ ა ნ კ ა ნ ე ბ უ ლ თ ა და არცა მათ ვ ა ნ უ -
 კ ა ნ ე ბ უ ლ თ ა საკითხავთა შორის იპოვების საკსენებე-

ლი დ ა ჟ ა რ უ ლ თ ა დ, არამედიკონური მწვანეებულადანი არიან მთავრებულნი, რთმედიკონი წერენ უკუე, მათი რეცეპტა ენებოხ. ხოლო მისკეტიმენ და შევამატებენ, მათი ჟამთა რაოდენნიცა სხინენ, რადგან ვითარცა ძუელთა რათმი სარწმუნო ჰყოფენ მათ და მიზეზად აქუნ-
ებს ესე მათ მიერ ცხუნებოისა წრეულთადასა".¹


854151

ეპისტოლის მიხედვით, "განკანონებული" წიგნები ცხოვრების წყაროს წარმოადგენენ და შეიცავენ მოძღვრებას კეთილად მსახურების შესახებ, "არაგანკანონებული" წიგნები კი დაწერილია "მამათა" მიერ საკითხავად მათთვის, რომელთაც სურთ დაემოწაფონ კეთილად მსახურების სიყვასს. არც "განკანონებული" და არც "განუკანონებული" წიგნები "დაფარულს" არაფერს შეიცავენ. "დაფარული" წიგნები მწვანეებულად მიერაა შექმნილი. ისინი წერენ, "რეცეპტა ენებოხ", წერენ ისე, ზოგჯერ ძველი ნაწარმოებები იყოს* და აცხუნებენ წრეულად ადამიანებს.

რეფორმაციის დროიან დასავლეთის ეკლესიაში ძველი აღმშენის არაკანონიკური წიგნების შეფასებასთან დაკავშირებით მთელი რიგი ცვლილებები ხდება.

1521-1534 წლებში მარტინ ლუთერმა გერმანულ ენაზე თარგმნა ბიბლია. ამ თარგმანში მან კანონიკურ წიგნებთან ერთად არაკანონიკურებოც მითათვისა /II და III ებრაისა და III მაცაბეღლას გამოკლებო/, მხოლოდ მან ეს წიგნები მიიჩნია ისეთ წიგნებად, რომლებიც, მართალია, "წმიდა წერილის" ვერ გაუყოფდებოინან თავისი მნიშვნელობით, მაგრამ სასარგებლონი არიან ეკლესიაში, სკოლასა და სახლში საკითხავად.

1 A - 76, 1974 - 1985.





ღუთერის თარგმანში არსებული სურათი პრეტესტანტების მიერ
დავრეზონდელ გამოცემებშიც მეორედბოდა.

პრეტესტანტების საწინააღმდეგო კათოლიკეებმა არაკანონიკუ-
რი წიგნები ებრაული კანონის შემადგენელ ნაწილად მიიჩნიეს:
ტრიდენტის საეკლესიო კრებამ /1546 წ./ თავის დადგენილებაში
ანათვამა შეუთვალა იმათ, ვინც წმიდად და კანონიკურად არ მიიჩ-
ნევდა მთელ "წმიდა წერილს" სრული შედგენილობით. ამ კრებამ ძვე-
ლი აღმშენის ყველა წიგნი /I და III ებრაის, III მკაბეტაასა და მა-
ნასუს ღოცვის გამოკლებით/ კანონიკურად გამოაცხადა.

ტრიდენტის კრების დადგენილების კავლებით 1672 წლის იერუ-
სალიმის საეკლესიო კრებამ ებრაული კანონის ძირითად ნაწილად
მიიჩნია შემდეგი არაკანონიკური წიგნები: სოლომონის სიბრძნე,
ივიითი, ტობია, ბირაქის სიბრძნე, მკაბეტაა წიგნები, სუსანას
დავადასავალი, მოხბრობა ბელისა და ვეშაპის შესახებ.¹

პრეტესტანტებმა, რომლებიც თავიდან არაკანონიკური წიგნე-
ბის რამცვილად გამოიყოფნენ, შემდეგ უკვე საწინააღმდეგო ტენ-
დენცია განავითარეს - არაკანონიკური წიგნები აშკარივბად გა-
მოაცხადეს და "კანონში" მათი შეტანა რაუშვებლად მიიჩნიეს.

XIX საუკუნის რამდეგს არაკანონიკური წიგნების მიმართ
პრეტესტანტებმა უკვე სერიოზული ბრძოლა გააჩაღეს. ამ ბრძოლამ
იბდეწად პრინციპული ხასიათი მიიღო, რომ ანტელ-მთვლანდურიმა

1 ბოგორთი კათოლიკე სწავლული ცოდლობა ტრიდენტის კრების და-
დადგენილებაში მოერივბინა ძველ, მსოფლიო ეკლესიის განსაზღვ-
რასთან, ასე გაჩინა სახეღწოდებები: პრეტესტანტური - კა-
ნონიკური წიგნებისათვის, დევეტროკანონიკური - არაკანონიკურ-
თათვის.



ბიბლიურმა საზოგადოებამ ამჟამად აწარმოებენ დამოუკიდებელი არაკანონიკური წიგნების ბიბლიის ბეჭდვასა და გავრცელებას. ამ საზოგადოების ღვაწლსაზრისმა შედეგად გერმანიის მიხედვით 1850 წლიდან არაკანონიკური წიგნების წინააღმდეგ ჩნდება ბევრი-ერული მწიგნობარი, რის გამოც მწიგნობარს საკანონო პრემიისა და აღიარება!

რაც შეეხება ძველი აღმოსავლური არაკანონიკური წიგნების მიმართ აღმოსავლური ანუ მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულებას, შეხედულებათა ბრძოლასა და ცვლას აქ აღვნიშნავ არ მკითხა. აღმოსავლური ეკლესია თავიდან ბოლომდე იზიარებდა იმ ღვაწლსაზრისს, რომელიც, მართალია, ძველი აღმოსავლური არაკანონიკური წიგნებს მნიშვნელოვანი კანონიკურებთან არ ათანაბრებს, მაგრამ არც გამოირჩევა მათ ბიბლიიდან, რადგან მისი ჩნდება დამრიგებლობითი ხასიათის, სულითაზრის სასარგებლო ნაწარმოებებად.²

ქართული ეკლესია, როგორც აღმოსავლური ეკლესიის პირმედი და მისი ნაწილი, არაკანონიკური წიგნების შეფასებაშიც ძველთაგანვე ამ უკანასკნელის ღვაწლსაზრისზე უნდა მივსვით.

ძველ ქართულ მწიგნობარებში დაცულია ბოლომდე ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ქართული ეკლესია და ქართველი საეკლესიო მოღვაწეები კარგად იცნობდნენ ძველი აღმოსავლური არაკანონიკური წიგნებს და სათანადოდ აფასებდნენ მათ.

1 ამ საკითხებზე უფრო დეტალურად იხ. **А.И. Сперанский**,

Краткий исторический очерк судьбы неканонических книг Ветхого завета... გვ. 394-401.

2 იქვე, გვ. 401.

"გრიგოლ ხანკთელის ცხოვრების" ავტორი გიორგი მურგული
ერთგვან გრიგოლის კასაოკარ მებსიურებაზე მოგვიხსენებებს და წერს:
"განსაკვრებელი იყო კსოვნიება მისი; რამეთუ აწ არს ხანკთას
კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოთ იაპ-
გარი, რომლისა სიფყვანი ღრიაპ კეთილ არიან. ხოლო ახლისა მკულისა
დაბეჭდულნი წიგნინი ზეპირით იცნოჲნა და მრავალნი წიგნინი ძუელისა-
ცა მკულისანი. არამედ დაუბეჭდველნი, წმიდათა მოძღუართა თქუმიუ-
ნი, აღურაცხულნი წარმოითქუმიოდეს უწიგნოდ ენიითა მისითა უმიტეს
ბეთთა ბუნებისა ჩუენისა".¹

აქ "ახალი" და "ძველი მკული" ახალსა და ძველ აღთქმას გუ-
ლისხმობს, ხოლო "დაბეჭდულნი" და "დაუბეჭდველნი წიგნინი" კანთ-
ნიკური და არაკანონიკური წიგნების ძველი ქართული საბეჭდოებია
ჩანს. ავტორი რაფომელაც გრიგოლის მიერ სწორედ არაკანონიკური
წიგნების ზეპირად ცოჲნაზე ამბავიღებს ფურადღობას: "ა რ ა მ ე უ
რ ა უ ბ ე ჟ რ ვ ე ღ ნ ი, წ მ ი ნ რ ა თ ა. მ თ ძ ღ უ ა რ თ ა
თ ქ უ მ უ ღ ნ ი, ა ღ უ რ ა ც ხ ე ღ ნ ი წ ა რ მ თ თ ქ უ -
მ თ რ ე ს უ წ ი გ ნ თ რ ე ნ ი თ ა მ ი ს ი თ ა".²

X საუკუნის ერთ-ერთ სინურ ხელნაწერში ჩამოთვლილია ძველი
და ახალი აღთქმის კანონიკური წიგნები. ძველი აღთქმის კანონიკუ-
რი წიგნების სიას სათაურად უძღვის "წიგნი/1/ ბეჭდულნი ძუელი-
სა მკულისანი" და დასავლელია შედგენილი თანამიმდევრობით:

! ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1,
/V-X სს/, თბ., 1964, გვ.282.
2 შერ. კ. ვ ვ ვ ე ღ ნ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია,
1, თბ., 1951, გვ.398.

ამ სიამში, გარდა იმისა, რომ ტრადიციული რიგი ტექმის წიგნების რეკლამისა ოქნავ არეულია /"რანელი" და "იბ-
ბი" ღავთავის ადგილას არ ბის/, კანონიკურ წიგნებში არაკანონ-
ნიკურებშიცაა შეტანილი: ბირაქის სიბრძნე /"მრავალმასწავლებლისა
ბირაქის წიგნი"/ და ბარუქი /"ბარუქ"/.¹

რამე მთავსებს არაკანონიკურ წიგნები კანონიკურებში?
შესაძლოა ორგვარი ვარაუდის დაღება: ან უნებურ შეცდომასთან
გვაქვს საქმე - ღმრთისმსახურებაში არაკანონიკური წიგნების გა-
მოყენების გამო მათ გამოიხვეს კანონიკური წიგნებისაგან აღმათ
ყოველთვის ვერ ახერხებდნენ; ანდა აღნიშნული წიგნები კანონიკურ-
თა რიგში შეტანილია სრულიად შეგნებულად: იყო ისეთი ტენდენციაც,
რომ "ბირაქის წიგნი" კანონიკურად ეცნოთ,² ხოლო "ბარუქი" "იერე-

აქ ჩამოწერა მიღანიშენილიად არ ვცანით. ეს სია გამოქვეყნე-
ბული აქვს კ.კვეციანიძეს. იხ. კ. კ. ვ. ვ. ე. ი. ძ. ე, ძველი ქარ-
თული მწერლობის ისტორია, 1, გვ.398.

1 კიდევე ნუსხურით კიდევე ორი არაკანონიკური წიგნის დასახლებუბაა
ჩამატებული: ივრიით, ორში.

2 შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ X11 საუკუნის ცნობილ კრებულ-
ში - ბენაწერთა ინსტიტუტის A - 65 ბენაწერში - ძველი აღ-
ტქმის კანონიკური წიგნების რიგში "ბირაქის სიბრძნეცაა" დასა-
ხლებული: "ძველისა მკურისა წიგნი: შობათა, გამოსლვათა,
ღვთიერათა, რიცხუთა, მუროისა მკურისა, ისლ ნავესი, მსა-
ჯურათა ა, რუთისი ა, მუთუთა რ, ნეშეთა ბ, ეზრასი ბ, ესტე-
რისი ა, ფსალმუნთა ა, სოლომონისი გ, წინაწარმეფეულთა იბ,
ისაიასი ა, იერემიასი ა, ეზეკიელისი ა, დანიელისი ა, იობისი
ა, ბირაქისი ს ი ბ რ ძ ნ ე" /გვ.175/. ბენაწერზე მი-
კვირითა მ.ქავთარიაძე.

მიას წინასწარმეფველეების“ შემაპვენელ ნაწილად მიეჩნიათ.¹

ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნების მიმართ ქართული სასულიერო მწერლობის წარმომადგენელთა დამოკიდებულების ძვალ-საზრისით საინტერესოა აგრეთვე ეფრემ მცირის ცნობილი კომენტარი, რომელიც იოანე პამასკელის "გარდამოცემის" ტექსტს ერთვინს ბელ-წაწერთა ინსტიტუტის A-24 ბელწაწერში და რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოვსაქვეყნეთ.²

როგორც აღვნიშნავით, იოანე პამასკელი "გარდამოცემაში" ჩამოთვლის ძველი აღთქმის კანონიკურ წიგნებს, რომელთა რაოდენობაც ებრაული ანბნის შესაბამისად 22-ს შეადგენს, და 21-ეპ ასახელებს ებრას წიგნებს /კანონიკური ებრა და ნეემია/, 22-ეპ კი - ესთერის წიგნს. შემდეგ იგი ყურადღებას მიგვაქვეყნებს სოლომონისა და ისუ-ზირაქის სიბრძნეთა წიგნებზე, რომლებიც მიუხედავად მათი დიდი ღირსებისა /"სათნო უკუე არიან და კეთილ"/, ებრაულ კანონში შეტანილი მაინც არ არიან.³

კომენტარის ტექსტს აქაც გავიმეორებთ: "რამეთუ რაჟამს

1 ბარუქის წიგნის იერემიას წინასწარმეფველეების წიგნთან დამოკიდებულების შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 237-238.

2 ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ებრას აპოკალიფსისის ქართული რედაქციები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ინტორიული ძიებანი, 1, თბ., 1971, გვ.102. ეს კომენტარი უფრო ადრე გამოქვეყნებული აქვს რ. მ ი - მ ი ნ თ შ ვ ი ლ ს წიგნში "იოანე პამასკელის "გარდამოცემის" ქართული თარგმანები", თბ., 1966, გვ.134.

3 ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ.102.

ეზრას პირველი და მეორე გეგმენ, უწყობი, ვითარებე მისვე ერ-
თისა ეზრა ბორბაბეღის წიგნთა იფყვს. პირველად და მეორედ -
პირველსა და მეორესა თავსა. ხოლო სხუა იგი ეზრას სუთიელი,
რომელი ქანტუღად არს, არავისჟან აღრაცხიდი არს წიგნთა თანა და
არცა საჩინოე იპოვების ბერძენთა თანა, ვინაჟა ნუჟკუშ დაფა-
რულთაგანი რამე არს და არა საველეხიოთ, ამისხუტსცა მრავალ-
თა წმიდათა ესრე სახედვე აღურციხოვან წიგნნი და არცა ერთი
ავსებებს საბელსა მისსა. ხოლო ჭუბისი დაღაცათუ აქა არა მოკ-
სუნებულ არს, არამედ სხუანი მოკსუნებუნეცა და აღპრიცხოვენ არა
ოცდაორთა თანა, არამედ სტიქარონ უნოედენ რეცა ვიდეგნად რიცხვ-
საგან, ვითარ-იგი სიბრძენეცა სოლომონისსა და ბირაქისსა".

ამ კომენტარიდან პირველი რიგში ყურადღებას იქცევს ფერმი-
ნებში "დაფარული" /"დაფარულთაგანი"/ და "საველეხიო". პირველი
ნახმარია საკუთრივ აპოკრიფული ანუ ერეტიკული დიფერატორის აღ-
სანიშნავად, მეორე კი - ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნე-
ბისათვის.¹

ეფრემ მცირის ამრით, ეზრა სუთიელის წიგნი რომ არც "წიგნ-
თა თანა" /ბიბლიის წიგნებში - ც.ქ./ არის აღრიცხული და ბერძ-
ნულ ენაზეც არ ჩანს, ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ იგი
ერეტიკულ წიგნად ყოფილიყო მიჩნეული /"ნუჟკუშ დაფარულთაგანი
რამე არს და არა საველეხიოთ"/. ამიტომაც აღბათ, რომ მრავალი
წმიდა მამა აღრიცხავს ძველი აღთქმის წიგნებუ და მის სახელს კი

¹ ბემოთ დასახელებულ ჩვენს წერილში /"ეზრას აპოკალიფსისის ქარ-
თული რედაქციები"/ კომენტარის შინაარსის გახსნას სიჭუსტე აკ-
ლია. შპრ. იქვე, გვ.103.

არაკინ ახსენებს. რაც შეეხება ჭობის წიგნს /"ჭუბისი"/, თუმცა აქ, "გარდამოცემასი", მოხსენებული არ არის, მაგრამ სხვები მოხსენებენ და აღრიცხავენ, მხოლოდ ოცდაორ წიგნში ვი არა, არამედ სტიქარონს უწოდებენ და ათავსებენ ამ რიცხვის გარეთ /კრიფანა/, როგორც სოლომონისა და ბირაქის სიბრძნის წიგნებს.

ძველი ქართული საეკლესიო მიღვაწეები ბიბლიის არაკანონიკურ წიგნებს ერეოკვალ, ანუ, ძველივე ქართული სახელწოდებით, "დაჯარულ" წიგნებთან რომ არ აიგივებდნენ, ეს ჩანს აგრეთვე ექვთიმე ათონელის ერთ-ერთი წერილიდან. ეს წერილი მას გამოუგზავნია ათონიდან საქართველოში შეკითხვის პასუხად, თუ საბერძნეთის ეკლესია /მაშასადამე, ქართულიც - ე.ქ./ რომელ წიგნებს არ შეიწვეწარებს. წერილში ჩამოთვლილია ძველი და ახალი აღთქმის მხოლოდ ისეთი თბილუბანი, რომლებიც საკუთრივ აპოკრიფულად ანუ ერეოკვლად ითვლებოდა.¹ აქ ხსენებაც ვი არ არის ძველი აღთქმის

1 წერილი ორი რედაქციით არსებობს: პირველი გამოცემული აქვს მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ს "საქართველოს სამოთხეში" /33.432-436/, მეორე, რომელიც ხელთ პეტრე ი. ბ ა ქ რ ა ძ ე ს, გამოცემული აქვს თ. შ რ პ ა ნ ი ა ს "ქრონიკების" II წიგნში /33.82-83/. ორივე რედაქციის ფესტი ერთად გამოსცა ი. ბოლოძე: ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები /XI-XIX სს./ ფესტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პრეფ. ი. ბოლოძე, თბ., 1970, გვ. 5-18. ამ წერილის რედაქციებისა და მისი ადრესატის შესახებ იხ. ვ. ვ ე ვ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მიწერების ისტორია, I, გვ. 403-407.

რომელიმე არაკანონიკური წიგნისა.¹

ბიბლიის არაკანონიკური წიგნების შეფასებასთან დაკავშირებული განსხვავებული შეფასებების მიხედვით სურბან-საბა ორბელიანი ანთან. ყურადღება მიიქცია მისი თხზულების "სამოთხის კარის" ერთმა ადგილმა. აქ ავტორი ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს ჩამოთვლის. მოძღვრის შეკითხვაზე: "რა განაწესეს მოციქულთა ანუ რჯული, ანუ სარწმუნოება?" უპასუხებს: "განაწესეს ძველი: დაბადების, გამოსვლათა, რიცხვთა, ღვივლათა, მეორის სჯულისა, ისრინავეს, მსაჯულთა, რუთისი, ოთხი მეფეთა, ორნი წემეტა, ორი ებრაისი,² ტოზიასი, ივრითისი, ესთერისი, იოზისი, ფსალმუნი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, იგავი და სიბრძნე, ისრ-ბირაქის წიგნი, წინასწარმეტყველება ესაიასი, იერემიასი, ბარუქისი, ებრაელების, დანიელისი, ოსესი, იოვებისი, ამოსისი, აბიასი, იონასი, მიქიასი, ნაუმიისი, ამბაკუმისი, სოფონიასი, ანჯიასი, ბაქარასი, მალაქიასი და ორი მაკაბელებისა წიგნი; და ახლის აღთქმის წიგნი: წმიდა სახარება და სამოციქულო და იოანეს გამოცხადება. ეს არს რჯული

1 წერილითი დასახელებული არიან ორივენი, ევსები ჰამფრიელი, რომელსაც მიწვადებულნი ნაწარმოებები დაუწერიათ; წყველი ივლიანე, რომელსაც მოციქულთა და მოწამეთა წამება-ცხოვრებანი განუწყვინია იმ მიზნით, რომ შეიძლება ყველა ნაფუარად შეურაცხათ; ჩამოთვლილია: "აბუკორთა", "აბამის ცხოვრება", "სიყრმი უფლისაჲ" მოციქულთა ცხოვრებანი, როგორცა მათე მახარებელისა, წმიდისა ანდრიაჲსი და სხვ.

2 უნდა იყოს: "ორი ებრაისი". /= კანონიკური ებრა და ნეუმია/.

და სარწმუნოება".¹

ძველი აღთქმის წიგნებში, რომლებიც ახალ აღთქმასთან ერთად ქრისტიანობის "რჯული და სარწმუნოება" ყოფილა, დასაბუთებულია არაკანონიკური წიგნებიც: ტობია, ივრითი, სიბრძნე სოლომონისი, ისრაელის წიგნი, ბარუქი, მაკაბეელა პირველი ორი წიგნი; არ ჩანს ეზრას წიგნები /ეზრა მორთაბაბელია და ეზრას ამოკალიფისი/ და III მაკაბეელა. როგორც ცნობილია, კათოლიკურმა ეკლესიამ ტრიდენტის კრების დამტკიცების მიხედვით ძველი აღთქმის კანონი სწორედ ამგვარად განსაზღვრა, ე.ი. კანონში შეიტანა გეოგრაფიული დასაბუთებული არაკანონიკური წიგნები - ტობია, ივრითი, სოლომონის სიბრძნე, ისრაელის წიგნი, ბარუქი, მაკაბეელა პირველი ორი წიგნი, ხოლო კანონიდან გამორიცხა და ამოკალიფად გამოაცხადა ეზრას წიგნები და III მაკაბეელა /მანასეს დაცვასთან ერთად/. ეს განთავსებისწინებოთ, რომ სულბან-საბა იმ დროისათვის რომის კათოლიკური ეკლესიისაკენ იყო მიდრეკილი,² მაშინ შემიძებვეთადა აღარ გამოჩნდებოდა ის ფაქტი, რომ ძველი აღთქმის კანონის საბასეული განსაზღვრა სავსებით შენდებოდა რომის კათოლიკური ეკლესიის განსაზღვრას.

ქართულ ენაზე ძველი აღთქმის ყველა არაკანონიკური წიგნი და კანონიკური წიგნების ყველა არაკანონიკური დანართი თარგმნილი. არაკანონიკური წიგნები კანონიკურებთან ერთად ქართულ

1 ს უ ლ ბ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე რ ი ა ნ ი, თბილევანი, ტომი III, გამოსაცემად მოამზადა, გამომცემი, შენიშვნები და დეტალიზირებული რეზიუმე ი ვ ა ნ ე ლ ო ლ ა მ ე ვ ი დ ი ა, თბ., 1963, გვ.259.

2 ქ რ ი ს ტ ი ნ ე მ ა რ ა თ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში /1709-1722/, თბ., 1955, გვ.172-174.

ენაზედაც ბიბლიის კრებულებშია შემონახული. ესენია:

თბილის ბიბლია: ათონის ივერიის მონასტრის №1 ხელნაწერი
978 წლისა,

იერუსალიმის ბიბლია: იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიო-
თეკის №7/11 ხელნაწერი XI საუკუნისა,

ბელაზის ბიბლია: ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1108 ხელნაწე-
რი XII საუკუნისა,

ხელნაწერთა ინსტიტუტის A-570 ხელნაწერი 1460 წლისა,

A-646 ხელნაწერი XVI საუკუნისა,

H-885 ხელნაწერი XVII საუკუნისა,

მცხეთის ბიბლია: A-51 ხელნაწერი XVIII საუკუნის რამბოგე-
სა,

ბაქარის ბიბლია: ქართული ბიბლიის 1743 წლის მთავრადგანი
გამოცემა.

ქართული ბიბლიის უძველეს ხელნაწერში - თბილის ბიბლიაში
- რაცურია ძველი ალექსანდრიის ეკლესია არაკანონიკური წიგნი მკაბულთა
წიგნების ვარა.

იერუსალიმის ბიბლიაში არაკანონიკურ წიგნთაგან ჭვაჭვს:
ებრა ბორობაბელის /1 ებრა/, ებრა სუთიელის /III ებრა/, ბარუ-
ქისა და იერემიას ეპისტოლის ფექსტები.

ბელაზის ბიბლიაში თავდაპირველად შეგანილი ყოფილა "ბა-
რუქი" და იერემიას ეპისტოლე, ხელნაწერის ფურცლების რაკარ-
გვის ვამთ მასში მხოლოდ ბარუქის-წიგნის ვარკვეული ნაწილია
პარჩენილი.¹

¹ ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 245-246.

A-570, A-646 და H-885 ხელნაწერებში, რომლებიც ბიბლიის ნაკლები ხელნაწერებიდან მომდინარეობენ და ამიტომ თავადაც ნაკლები არიან, რაც უნდა ივსოს, გზისა და ეზრა ბრძოლის წიგნები.

მცხეთის ბიბლიაში შეესულია ივსოსის, გზის, ეზრა ბრძოლის, ბარუქისა და იერემიას ეპისტოლის ფურცლები.

ბაქარის ბიბლია ბიბლიის სრული კრებულია, ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები აქ ყველაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება კანონიკური წიგნების - II ნევიტას, ესთერის, ფსალმუნის, იოხანის, პანიელის - არაკანონიკურ დანართებს, მათ შეიცავს ქართული ბიბლიის ყველა ის ხელნაწერი, რომელშიც ხსენებული კანონიკური წიგნებია რაცული.

აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის არაკანონიკური წიგნები ქართულ ენაზე, მკაბეღა წიგნების გამოკლებით, ძირითადად ორ-ორი თარგმანით არსებობს: ძველი ანუ X საუკუნემდელი და X საუკუნის შემდეგმოდელი.

ეზრა ბრძოლის, ივსოსისა და გზის წიგნების ძველი, X საუკუნემდელი თარგმანები, წარმოდგენილია ოქვის, იერუსალიმის, მცხეთის ბიბლიის კრებულებსა და A-570, H-885, A-646 ხელნაწერებში; ეზრა სუთიელის, ბარუქისა და იერემიას ეპისტოლის ძველი თარგმანები - ოქვისა და იერუსალიმის ბიბლიებში; სოლომონისა და ისრაელის სიბრძნეთა წიგნებისა კი - მხოლოდ ოქვის ბიბლიაში. მკაბეღა წიგნების ძველი თარგმანები ქართულ ენაზე არ ჩანს. არსებობდა თუ არა ეს წიგნები ძველად ქარ-

თუღარ, ჩვენივე ცნობილი არ არის.¹

ძველი აღთქმის წიგნების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორია-
ში X საუკუნის შემდეგ კიდევ ორი ენაში გამოიყოფ:

როგორც ცნობილია, XI საუკუნეში ბერძნული სუბტანტის მი-
ხედვით შეადგინეს ე.წ. გულათის ბიბლია. არაკანონიკურ წიგნთ-
გან გულათური რედაქციით ჩვენამდე მოაღწია ბარუქისა და იერე-
მიას ეპისტოლის წიგნებში.² ეს ორი წიგნი გულათური რედაქციი-
თაა შესული მცხეთისა და ბაქარის ბიბლიის კრებულებშიც.

ბაქარის ბიბლიის ტექსტი, რომელიც 1743 წელს დაიბეჭდა,
გამოსაცემად მოვიზარა გაცილებით ადრე, XVIII საუკუნის დამდეგს,
არჩილ მეფის ინიციატივითა და შრომით. ამ ბიბლიაში ყველა წიგ-
ნი "წიგნი და გაიმართა" სლავურის მიხედვით და სლავურისავე
იშარტმინა მისი რიგი ნაწილი. ბაქარის ბიბლიაში გამოქვეყნებუ-
ლი ყველა არაკანონიკური წიგნი, "ბარუქისა" და იერემიას ეპის-
ტოლის გარდა, - ივრითი, ტომია, I და III ებრა, სოლომონის სიბრძნე,
ისრა-ბირაქის სიბრძნე, მკაბელთა სამივე წიგნი - სლავური-
ნაა თარგმნილი.

არაკანონიკური წიგნების მიმართ აღმოსავლური ეკლესიის
მაღალი შეფასება საეკლესიო შრატეკიკაშიც იჩენდა თავს: არაკა-
ნონიკური წიგნებიდან ზოგიერთი ადგილი შევანილი იყო ღირსი-

1 ვე. R. P. Blake, *The Athos Codex of the Georgian Old Testament*, *The Harvard Theological Review*, vol. XXII No 1, 1929, გვ. 35.

2 გულათის ბიბლია ჩვენამდე ნაკლები სახითაა მოღწეული, შესაძ-
ლთა, კანონიკურ წიგნებთან ერთად მას დაცლებული და დავარკუ-
ლი ჰქონდეს არაკანონიკური წიგნებიც.

კურ ვრებულებში, ე.წ. ექვციონარებში, და ღმრთისმსახურების
ეროს ეკლესიებში კითხულობდნენ.¹

ქართულ ენაზე ამგვარი ლიტურგიკული ვრებულების ძველი,
IX, X და XI საუკუნეებში დათარიღებული, ხელნაწერები გვაქვს -
ლატურჯის ანუ კალის /IX-X სს./, ლატარის /X ს./, სინური /X ს./
და პარიბული /XI ს./. ძველი აღმშენის არაკანონიკური წიგნები-
დან საკითხავები შეტანილია სამ ექვციონარში /ვამონაკლისია სი-
ნური/.

¹ Г.П. Смирнов - Платонов, Неканонические книги
Ветхого завета... 33. 21.

ე ბ რ ა ს I ნ ი ვ ნ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი
ჩ ე პ ა ქ ე ნ ე ბ ი

ძველი აღმქმის არაკანონიკური წიგნი, რომელიც უძველეს ქართულ ხელნაწერებში ეგზა ბორთბაბელის წიგნად იწოდება, თავისებური შედგენილობის ნაწარმოებია. იგი არ წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელ ნაშრომს, არამედ არის კომპილაცია II ნეშტას, ნეშთასა და კანონიკური ეგზას გარკვეული ნაწილებისა. ამ ძეგლს დამოუკიდებელ წიგნად მიჩვენის უფლებას ანიჭებს III და IV თავებისა და V თავის I-6 მუხლების შემცველი ფეუსტი, რომელიც წარმოადგენს აპოკრიფულ ჩანართს და რომლის წყაროც ჯერჯერობით დაძებნილი არ არის. წყაროებიდან ნასესხები მასალა აქ შემდეგნაირადაა განლაგებული:

- ჩვენი წიგნის I თავი - მთლიან ნეშტა XXXV-XXXVI₂₁
- II₁₋₁₄ - კანონ. ეგზა I თავი
- II₁₅₋₂₅ - კანონ. ეგზა IV₇₋₂₄
- III - V₆ - წყარო უცნობია
- V₇₋₇₀ - კანონ. ეგზა II₁ - IV₅
- VI - VII - კანონ. ეგზა V - VI
- VIII-IX₃₆ - კანონ. ეგზა VII-X
- IX₃₇₋₅₅ - ნეშთა VII₇₃ - VIII₁₃.

ეგზა ბორთბაბელის არაკანონიკური წიგნი კომპოზიციურად შეკრულ ნაწარმოებს არ წარმოადგენს. აქ მოყვანილი ნაწილების მიხედვით ფეუსტში შემდეგი ამბებია მოხსრობილი:

I თავი - აღწერილია ალექსიმის დღესასწაული იოსია მეფის ვარგე და მისი სიკვდილი; ჩამოთვლილია იუდეველთა უკანასკნელი მუხებში იერუსალიმისა და ტაძრის დანგრევამდე. /586 წ. ძველი წელთაღრიცხვით/.

II₁₋₁₄ - მუზეუ კვროსის დატვირთვა იმის შესახებ, რომ სპეციალური გუნდი და ტაძრისათვის კუთვნილი ნივთები დააბრუნონ; ამ ნივთების გადაცემა იუდეველთა მთავრის სამინისტროსათვის.

II₁₅₋₂₅ - სამარტვილი /სამარტვილიანთა/ ოპოზიციის დატვირთვა /არტავაძეებს/ ერთს ტაძრის აღდგენასთან დაკავშირებით.

III-V₆ - კამათი პარტი მუდის სამ მსახურს შორის და მორჩაბაძეების გამოწვევა ამ კამათში. ამ ნაწილში ავტორს სურს გვიჩვენოს, თუ როგორ მოხდა, რომ ტაძრის აღდგენა მორჩაბაძეებს დაეცა.

პარტი მუდის სამ მსახურს შორის კამათის უპირობო კომპრომიზირება შეკრულ დამოუკიდებელ მოხმარებას წარმოადგენს. იგი მინაწილად მუდის საინტერესოა: ერთხელ პარტი მუდის მიერ წვეულმა გამოჩნდა, მოიპოვა "პინკოვსკის ვიდეო ეთიკაში" მთავრები, ერთსავე, "სოფლის-მცენარეები". მათ ჭამეს, სვეს და კარგად მოიღებინეს. როდესაც წვეულმა დამთავრდა, მუდის მუდის "სამსუენებელი" და დაიძრა.

მაშინ სამმა "სენაკამა" - მუდის საწილის-მცველმა - მიიღეს, რომ თითოეულს ექვსა "სიყვარად ერთი". ვისი ნათქვამი ყველაზე ბრძნული აღმოჩნდებოდა, პარტი მუდის იგი მიიღო "ნიჭი" უნდა დაეხილებინა. თითოეულმა დაწერა "სიყვარად ზუსი" და პარტი მუდის სასტუმართან დაიძრა.

პირველმა დაწერა: "ძლიერ არს და მძლე უფროსს ყოველისა ღვინოა".

მეორემ დაწერა: "მძლე არს და უძლიერესს უფროსს ყოველისა შარავანდედი" /მუდის/.

მესამემ დაწერა: "მძლე არიან და უძლიერესს უფროსს ყოველისა დაიძრა /ქალები/ და ყოველსა სძლიის ჭეშმარიტებაშიან".



მეფემ როდესაც გაიღვიძა, სამივე დაწერილი წიგნი დასწავლა და სასწრაფო უბიძო სპარსეთის ყველა მთავარს და "უფლებსა და სპა-
პეტებსა და სოფლის-მაცრობელთა და მფლობელთა", რომ ერთად განე-
ხილათ საწოლის-მცველთა ეს გამონათქვამები.

მეფემ ბრძანება გასცა, მოეყვანათ საწოლის-მცველები, რომ
მათ ჰკითხონ განემარტათ თავიანთი დაწერილი.

პირველმა თქვა: ყველაზე ძლიერი ამ ქვეყნად ღვინოა. როდესაც
მას შეესვაძინა, ყველა განურჩევლად გონებას კარგავს: მეფე
იქნება თუ გლახაკი, უფალი თუ მონა, მდიდარი თუ ღარიბი. რაცა
დაიხრებინა, აღარც მეგობარი ახსოვს, აღარც ძმა, აღარც მფრინი,
ღვინო რომ გამოჰქარებოთ, თავიანთი ჩადენილი ყველაფერი ავიწყ-
ლებოთ.

მეორემ თქვა: ამ ქვეყნად ყველაფერს მეფეები ფლობენ. თუ
მეფე ბრძანებს, მოყვასი მოყვასს წაუკიდება; მფრინს წინააღმდეგ
საბრძოლველად წასვლას თუ უბრძანებს, მით უფრო მზად არიან ამ
ბრძანების შესასრულებლად. მიწათმფობი თესავს და მკის, მზა-
მზარეულ წაყვებს კი მეფეს მიარმევეს, ასევე იქცევა ხარკის ამ-
კრეფიც, მეფე კი "უფლებს მათ ზედა". თუ მეფე ვინმეს მოკვლას
ბრძანებს - ვლავენ, თუ სიციხეებელს - აცოცხლებენ, თუ აწინებებს -
ააწინებენ, თუ პარტევასა და პანტევას - არღვევენ და ანჭრევენ.
ჰკითხონ მეფე კი ამ პრეს მისვენებით მის სანიხებში - ჭამს,
სვამს და სძინავს.

მესამემ - გონიერებამ - თქვა: ძლიერია ღვინოც და მეფეც,
მაგრამ ის, ვინც სძლევის, იწყობს და მბრძანებლობს "ყველთა ზე-
და", არის ქალი. ქალებმა შეეს მეფეები და ყველა, ვინც ზღვასა და

ხმელს განაკვებს, ქალღმბა შვეს ის მუშაკებიც, რომლებიც ვაზს რვა
ჯერ და ღვინოს წურავენ. ქალღმბის გამო იმკობიან და "იდიდებიან"
მამაკაცები, მათ გარეშე მამაკაცთა ყოფა "ვერ ეგებინს". მამაკა-
ცი დატოვებს მშობლებს, და ისე გაჰყვება ცოლის კვალს, რომ აღარც
დღე-მამა ახსოვს და აღარც თავისი ქვეყანა. მამაკაცი რასაც შე-
ქმნის და შეიძენს, ყველაფერს ცოლს მიარბმევს. ბევრი გონებას
კარგავს ქალის გამო, ბევრი კვავს და კვდება. აჯერ ამ მეფესაც,
რომლის მიანბროებასაც კი ვერავინ ბედავს, მარჯვნივ ხარჭის ასუ-
ლი უბის. მან გვირგვინი მოხადა მეფეს და თვითონ დაიდგა თავზე,
მეფეს კი ყვრიმალეში გაარყვია. ამის გამო მეფე არ გამიწერაღა, პი-
რიქით, დააღო პირი და აღტაცებული შესცქეროდა.

მეფემ და იდიდებულებმა თანხმობის ნიშნად ერთმანეთს გადახე-
დეს.

ბოროტაბედმა განაკრძოთ ღამარაკი ჭეშმარიტების შესახებ: იდი-
დის ქვეყანა, მაღალია ცა, სწრაფად რბის მგის-თვლი, რომელიც
ერთი დღის განმავლობაში მოიხრბენს კამარის მსგავს ცის სივრცეს.
და განა იდიდი არ არის ის, ვინც ეს ყველაფერი შექმნა?

ჭეშმარიტება ყველაფერზე იდიდის და ძლიერი, მას სიყრუე ახ-
ლოს ვერ გაეკარება, მასთან მიკვრდება არ შეიძლება.

ბოროტაბედს ყველა პაუტანება. მეფემ მიმართა ბოროტაბედს:
რაკი შენ ყველაზე ბრძენი აღმოჩნდი, მთხოვე, რაც გინდოდა და
შეგისრულებო. ბოროტაბედმა შეახსენა მეფეს გამეფების დროს და-
დებული აღთქმა იკრუსალიმის აშენების შესახებ. მეფე ეამბორა
ბოროტაბედს და "დაუწერა წიგნები ყოველთა მიმართ სოფლის-მკვნი-
ბელთა და მღრობელთა და ერისთავთა"... , რომ გაეგზავნათ ბოროტა-

ბედი და მასთან მცოფნი იერუსალიმის ასაშენებლად.

ბორთაბედი მაგილი მესხინა ღმერთს, ნაილო ეს "ნიგნები" და ნავიდა ბაბილონიში თავის მოძმეებთან. ამის შემდეგ შეარჩიეს "ნახვეფნი და ნინამძღუარნი" იერუსალიმში გასამგზავრებლად. ბორთაბედის მიერ სიბრძნის გამომჟღავნებას დარჯე მეფის ნინაშე ადგილი ჰქონდა დარჯის მეფობის მეორე წელს, "თუესა მას ნისანსა, თუესა მას პირველსა".

V 7-73 - ტაძრის აღდგენის მოწინაიღება სია.

VI-VII - საკურთხევის აღდგენა, ტაძრის საძირკვის ჩაყრა.

VIII-IX₃₅ - არგაშესის /არგაშესრესეს/ დეკრეტი მისი მეფობის მე-7 წელს და ებრასი და მასთან ერთად დევნილთა დაბრუნება; უცხო ტომის ცოდვებთან განმორება.

IX₃₇₋₅₅ - ებრას მიერ მოსეს სჯულის /კანონის/ ნაკითხვა და ამასთან დაკავშირებულ დიდი ნაგიმის გადახდა.¹

1 იმ. O. Eissfeldt, Einleitung in das Alte Testament, Entstehungsgeschichte des Alten Testament von Otto Eissfeldt, Tübingen, 1964, გვ. 778; R. H. Charles, The Apocrypha and Pseudepigrapha of the Old Testament. Oxford, 1965, გვ. 1



ძველი აღმჯობის ეს წიგნი ებრაულ ენაზე არ დასტურდება. შედგენილია ბერძნულად და ამდენად ორიგინალსაც ბერძნული ტექსტი წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის გარკვეული, ებრა ბრძანებების არაკანონიკური წიგნი მისმა ავტორმა მეორე ნეშტის, კანონიკური ებრაისა და ნეშტის ებრაული ორიგინალებიდან გამოკრება, თუ მათი სუბვანტისტული თარგმანების მიხედვით შეადგინა.¹

არაა ცნობილი აგრეთვე ამ ნაწარმოების შედგენის მუსტი დრო /ვარაუდობენ ჩვენს ნელთაორიკვამდე დაახლოებით II საუკუნეს/ ² და ავტორი.

ებრა ბრძანებების არაკანონიკური წიგნი ბერძნულად შემონა-

1 П. Ю н г е р о в, Частное историко-критическое введение в священные ветхозаветные книги, выпуск первый, книги законоположительные, исторические и учительные, Казань, 1907, 33. 191; R. H. Charles, The Apocrypha and Pseudepigrapha of the Old Testament... 33. 3-5.

2 А л е к с е й Ш а р а п о в, Вторая книга Ездры /Историко-критическое введение в книгу/ Сергиев-Посад, 1912. 252; П. Ю н г е р о в, Частное историко-критическое введение... 33. 192; Ф. В и г у р у, Руководство к чтению и изучению Библии... перевод с последнего /12-го/ французского издания с дополнительными примечаниями и указателями русской библейской литературы С.К.Б.В.В. Воронцова, Москва, 1916, 33. 94; O. Eissfeldt, Einleitung in das Alte Testament... 33. 781; R. H. Charles, The Apocrypha and Pseudepigrapha... 33. 4-5.



ბუიი აქვს ვაჭიკანურ და აღექსანერნიუდ კოდექსებს, სინდონის
არ არის. ამ წიგნის უძველესი თარგმანებში დაკულია ძველ ლათინურ-
ბე /რთიუღიყ ჩასწორებუღი სახით გამოყენებუღი რთორც ვუღა-
ტა/,¹ სინიუღიბე,² ეთიოპიურბე,³ არაბუღიბე,⁴ სომხურსა⁵ და ქარბუღი
ენებბე. ქარბული ტექსტი იღეიბე სავანტებო შესწავღიის სავანი არ
ყოფიღი. ამიგომია, რთი ბიბლიოლოგიურ ღიგონაგონაში ბას არც იყ-
ნობენ.

ბ უ ს ბ ე ბ ი

ეზრა ბორბობბღიის არაკანონიკური წიგნის ქარბული ტექსტი
შეიბ ნუსხაშია დაკული: რშვის ბიბლიაში /ათონის ივერთა მონას-
ტრის ბიბლიოთეკის ქარბული ხეღნაწერი №1/,⁶ იერუსალიმის ბიბ-

- 1 გამოყენებუღი აქვს Sabatier-ს: *Bibliorum sacrorum Latinae versiones antiquae*, Paris, 1751.
- 2 P. Lagarde, *Libri Veteris Testamenti apocryphi Syriace*, Leipzig, 1861.
- 3 Dillman, *Biblia Veteris Testamenti aethiopica*, Berlin, 1894.
- 4 არაბული თარგმანი შეუსწავღიღი.
- 5 გამოყენებუღია ე.წ. ვენეციურ ბიბლიაში: *Учрежденіи Императорскаго Восточнаго Департамента*, 1805.
- 6 А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I. 1886, I-IO; Н. М а р р, Из поездки на Афон, 1899; А. Х а х а н а ш в и л и, Афонский список



ლიაში /იურუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერები № 47, 1936 წელი
 11/,¹ მცხეთის ბიბლიაში /კ. კაკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის
 ა ფონდის № 51 ხელნაწერი/,² კ. კაკელიძის სახ.

Грузинской Библии 978 г. и его значение для исправления печатного текста: Богословский вестник, 1903; R. P. Blake, The Athos Codex of the Georgian Old Testament, The Harvard Theological Review, Vol. XXII, №1, 1929; მონიჯო, Catalogue des Manuscrits georgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, Paris, 1932; კ. კაკელიძის დოკ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, 1951, გვ. 390-391.

1 А. Ц а г а р е л и, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, СПб. 1888. გვ. 143-153; მონიჯო, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, СПб. 1889, I-II; А. Х а х а н о в, Очерки по истории Грузинской словесности, вып. I, Москва, 1895. გვ. 152; Р. Б л е й к, О древнегрузинских версиях Ветхого Завета: Известия Кавказского отделения Московского Археологического О-ва, вып. I. Тф., 1921, გვ. 39; კ. ნ ბ ა მ ბ ე უ ჯ ა, ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მთავრე მიმზნობრვა, მხათობი, 1939, 4; კ. კაკელიძის დოკ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, 1951, გვ. 390; R. P. Blake, Prolegomena to a critical edition of the prophetic in Old Georgian, Patrologia Orientalis, t. XXI, f. 2, 1961, გვ. 8.

2 Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей церковного музея, 1902, გვ. 40-41.



ՆԱՐԻՆԵՆԿԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄ

Եղենաճերտա ինստիտուտի A-570,¹ A-646,² H-885³ եղենաճերտ

և թա ձախարիս ծծիճաճի /խարտըլի ծծիճիս 1743 Յրիս ժոսկո-
զիս զամոգըճա/.

ՊՅՅիս ծծիճաճի /զաթաճըրիճիս 978 Յըլս; Բզընի լիճըրիճ
0/ "Յիճնի ղըճա ծոճոճաճըլիսի" աճը աճազանոճիզըրի ղըճա ժո-
տազսըճըլիս 428 ռ - 455 յ -ճը, Եղենաճըրիս իճ Նաճիճի, ճոճը-
լից ժիճըլիս ժիճըրա զաթաճըրիճի /ցճոճիճիս աճ Եղենաճըրիս յո-
ըզ ճոճի զաթաճիճըր: յոճոճի թա Տըղաճը/ . Բզընի ճըլճիճի աճ
IX տազիս 37-ը ժըԵլիճըն ծոճոճը Նազըլիս. աճճանիճիճիս,
ճոճ Եղենաճըրս աճ աճըլիս ղըղըլի աճ ազըլիս /455 յ -ճը Յոճ-
զըլի Տըղիս ճոճի Տըրիճըրի յճիճիս Բզընս ճըլճիճի, ժըճաճի
Տըրիճըրիճըն յո իճըլիս ղըճաս յանոճիզըրի Յիճնի/ ճոճոճը
Բանս, ՊՅՅիս Եղենաճըրիճի ղըճաս աճազանոճիզըրի Յիճնի զաթաճըր-
իճաճ Եղենաճըրիճըն, ճոճըլիճից աճ Յիճնս ծոճո Նաճիճի ազըլա.

ղըրճըլիճիճիս ծծիճիճիճի /զաթաճըրիճիս XI Տաճըրիճի ժըղըր
Նաճըզարճի ղըրճըլիճիճի, յզրիս ժոճնաճըրիճի; Բզընի լիճըրիճ
ճ/ , ճոճըլից ճոճ Նաճիճիս զաթոճըլի թա ճոճի Նոճիճիս ցճոճիճի
- 7-ճիս թա 11-ճի - ղըճաս աճազանոճիզըրի Յիճնի ժոճազսըճըլիս
